

იოანე პავლე II

მიმართვა კულტურის მოღვაწეებისადმი

სამშაბათი, 9 ნოემბერი 1999
თბილისი, სახელმწიფო რეზიდენცია

ბატონო პრეზიდენტო,
თქვენო აღმატებულებანო,
ქალბატონებო და ბატონებო,

1. მოუთმენენლად ველოდი ამ შეხვედრას საქართველოს კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, რადგან სწორედ თქვენ ბრძანდებით საქართველოს უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის უშუალო წარმომადგენელი და ქომაგი. საქართველო განთქმულია, როგორც მგოსანთა და ხელოვანთა ქვეყანა, მემკვიდრე საამაყო უძველესი ტრადიციისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე მდიდრდებოდა და ვითარდებოდა სხვადასხვა ქვეყნებსა და ხალხებთან ურთიერთობის შედეგად. დღეს, როდესაც დაინგრა ამდენი ხნის მანძილზე აღმოსავლეთისა და დასავლეთის გამყოფი კედლები, საქართველოს ისტორიაში ახალი, რთული და საინტერესო ფურცელი გადაიშალა. ახლა საქართველო უწყევად ადგას სოციალური აღმშენებლობის, ხალხისთვის იმედით აღსავსე მომავლისა და კეთილდღეობის შენების გზას. როგორც მსოფლიო კულტურის წარმომადგენლებს, თქვენ საგანგებო როლი გაკისრიათ ამ პროცესში. სწორედ თქვენ განსაზღვრავთ კულტურის მეშვეობით ახლებური ხედვის ჩამოყალიბებას, რომელიც წარსულის მემკვიდრეობას დაეფუძნება და რომლის მიზანი მომავლის შენებაა. ახლა, როცა საქართველო უახლოვდება თავისი სახელმწიფოებრიობის 3.000 წლისთავის თარიღს, ეს კეთილშობილური ამოცანა თქვენს წმინდა მისიად გადაიქცევა.

განსაკუთრებით მადლიერი ვარ პრეზიდენტი შევარდნაძისა, რომელმაც პირადად ითავა ამ შეხვედრის გაძღოლა. მადლობას მოვახსენებ მას გულითადი მასპინძლობისა და ჩემს მიმართ გამოთქმული გულთბილი სიტყვებისთვის. უღრმეს მადლობას მოვახსენებ კათოლიკოს-პატრიარქს. პატივცემულო სტუმრებო, იმედს გამოვთქვამ, რომ ჩემი ვიზიტი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს საქართველოს განსაკუთრებულ მოწოდებას - წინ წარუძღვეს მშვიდობის მშენებლობას მთელ რეგიონში და იყოს ხიდი კავკასიის ქვეყნებსა და დანარჩენ ევროპას შორის.

2. მოგმართავთ რა დღეს, არ შემიძლია არ აღვნიშნო ქრისტიანობის წვლილი ქართულ კულტურაში. მნიშვნელოვანია ის, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე ქართული ლიტერატურის შთაგონება რელიგია იყო. იგივე შეიძლება ითქვას მთლიანად კაცობრიობის კულტურაზეც. თავად კულტურა ის რეალობაა, რომელიც ადამიანის საკუთარ თავზე ამაღლებისას წარმოიშობა. მას ქმნის იმპულსი, რომლის მეშვეობითაც ურთიერთობისა და გაზიარების შინაგან სწრაფვაში პიროვნება ცდილობს ამაღლდეს საკუთარ შეზღუდულობაზე. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ კულტურის ძირეული ფესვები ადამიანის

რელიგიურ საწყისში, მის რელიგიურ სულში დევს. შინაგანი ძალა, რომლის მოქმედებასაც ადამიანი განიცდის და რომელიც უბიძგებს მას ეძიოს საკუთარი არსის რეალიზაცია სხვებთან ურთიერთობაში, დაუკმაყოფილებელი რჩება, სანამ ის არ მიაღწევს ერთადერთ და აბსოლუტურ სხვას.

სწორედ საკუთარ თავზე ამაღლების, სხვისი შეცნობის ეს სწრაფვა, სხვასთან ურთიერთობის დამყარების შინაგანი მოთხოვნილება ქმნის კულტურას. ეს სხვისკენ ლტოლვა მხოლოდ სიყვარულით ხორციელდება. საბოლოოდ, მხოლოდ სიყვარულს ძალუმს ამოძირკვოს ადამიანის გულში ღრმად ჩაბუდებული ტრაგიკული ეგოიზმი. სწორედ სიყვარული გვეხმარება იმაში, რომ სხვები და ის აბსოლუტური სხვა ჩვენი ცხოვრების უმთავრეს ნაწილად ვაქციეთ. ქრისტიანები ყოველთვის ისწრაფვოდნენ შეექმნათ კულტურა, რომელიც არსებითად გახსნილია მარადიულისა და ტრანსცენდენტულისთვის და იმავდროულად მოიცავს წარმავალს, კონკრეტულსა და ადამიანურს. ქრისტიანთა თაობები ისწრაფვოდნენ შეექმნათ და შთამომავლობისთვის გადაეცათ კულტურა, რომლის მიზანია ადამიანებს შორის უფრო ღრმა, მტკიცე და საყოველთაო ძმური კავშირის დამყარება. თუმცა, ამ საყოველთაობაში არ იგულისხმება დამრთგუნველი ერთგვაროვნება. ჭეშმარიტი კულტურა პატივს სცემს ადამიანის პიროვნების მისტერიას და, ამდენად, უნდა მოიცავდეს დინამიკურ ურთიერთქმედებას კონკრეტულსა და ზოგადსაკაცობრიოს შორის. კულტურა უნდა ეძიებდეს ერთიანობისა და მრავალფეროვნების სინთეზს. მხოლოდ სიყვარულს ძალუმს მიაღწიოს ამ განსხვავებულ საწყისებს შორის შემოქმედებითა და ნაყოფიერ წონასწორობას.

3. საქართველოს ძირძველ ქრისტიანულ კულტურაზე მსჯელობისას ეს აზრები ბუნებრივად ჩნდება. სახარების ქადაგებამ არა მარტო ამცნო ხალხს მხსნელი სიტყვა, არამედ დასაბამი მისცა ქართულ ანბანს და, შესაბამისად, განამტკიცა თქვენი ეროვნული მეობა და თვითმყოფადობა. ქრისტიანულმა რწმენამ შვა და ასაზრდოვა ქალაქებში გადმოტანილი სიტყვისადმი სიყვარული, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა თქვენს ენაზე, ლიტერატურასა და მთელ თქვენ კულტურულ ცხოვრებაზე.

გადმოცემა, რომლის თანახმადაც ქრისტეს ჯვარცმის მომსწრე ქართველებმა უფლის უკერველი კვართი ჩამოიტანეს იერუსალიმიდან, ერთიანობისკენ ერის უწყვეტი სწრაფვის განსახიერებაა. ამისავე განსახიერებაა თქმულებები, რომელთა თანახმადაც თქვენს ქვეყანაში უფლის სიტყვა იქადაგეს ანდრია და სიმონ მოციქულებმა და ხერსონის მადაროებში გაძევებულმა წმინდა კლემენტ რომაელმა. ეს თქმულებები, მეტყველებენ რა ქართული ეკლესიის უძველეს ძირებზე, იმავდროულად იმ ურთიერთკავშირის ღრმა გაცნობიერებაა, რომელიც თქვენმა ეკლესიამ ქრისტეს ერთიანი ეკლესიის შიგნით შეინარჩუნა. დასტური იმისა, თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ ურთიერთკავშირს, გახლავთ ის უამრავი თარგმანი, რომელიც ქართული რელიგიური ლიტერატურის ნაწილს შეადგენს; ეს თარგმანები ჭეშმარიტი საგანძურია, რომელსაც თქვენ აზიარეთ მთელი ქრისტიანული სამყარო. ამასთანავე, თქვენ შემოინახეთ ტექსტები, რომლებიც სხვა შემთხვევაში დაიკარგებოდა. ამ გახსნილობისა და ურთიერთკავშირის კიდევ ერთი დასტურია ქართული მონასტრები და ბერები ქრისტიანული სამყაროს სხვადასხვა კუთხეში - საკმარისია დავასახელო ათონის მთის ივერთა მონასტერი.

თქვენი კულტურის ეს გახსნილობა ისევე მნიშვნელოვანია დღეს, როგორც წარსულში. ყველას კარგად გვესმის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მსოფლიოს ამ კუთხეში, სოლიდარობის და თანამშრომლობის კულტურის დანერგვა და ხელშეწყობა. სწორედ ამგვარ კულტურას ძალუმს თანამოქმედების პროცესში შეუხამოს თქვენი თვითმყოფადობის სიმდიდრე სხვა ხალხთა და საზოგადოებათა სიმდიდრეს.

4. ამჟამად ჩვენ მოწმენი ვართ გლობალიზაციის პროცესისა, რომელსაც განსხვავებულობისა და მრავალფეროვნების ჯეროვანი შეუფასებლობის ტენდენცია ახასიათებს, რაც მკაფიოდ აისახება კიდევ ეთნოცენტრიზმის ახალი ფორმების აღმოცენებასა და გადაჭარბებულ ნაციონალიზმში. ამ ვითარებაში ჩვენი ამოცანაა ხელი შეუწყოთ და ფართო ასპარეზი მივცეთ ცოცხალ კულტურას, რომელსაც ძალუმს დაამკვიდროს ურთიერთკავშირი და ძმობა სხვადასხვა ჯგუფებსა თუ ხალხებს, ასევე ადამიანთა სხვადასხვა შემოქმედებით სფეროებს შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დღევანდელი მსოფლიო რთულ და საინტერესო ამოცანებს გვისახავს იმ მხრივ, რომ შევიცნოთ და პატივი მივაგოთ ერთმანეთს ჩვენს კულტურათა მრავალფეროვნების გამო და მისსავე მეშვეობით. თუ ამ ამოცანებს ვუპასუხებთ, კაცობრიობა სრულად იგემებს ერთიანობისა და მშვიდობის ნაყოფს, ხოლო ცალკეული კულტურები გამდიდრდება და განახლებება, განიწმინდება ყოველივე იმისაგან, რაც აფერხებს ურთიერთშეხვედრასა და დიალოგს.

ჩვენი დროის ერთ-ერთი ურთულესი გამოწვევა ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის მიმართებაა. ძველსა და ახალს შორის დიალოგი დიდწილად განაპირობებს ახალგაზრდა თაობის მომავალს და, შესაბამისად, ერის მომავალსაც. ამგვარი დიალოგი მოითხოვს ღრმა გააზრებასა და განსჯას, ბრძნულ გაწონასწორებულობას, რაზეც ძალზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ერთი მხრივ, შეიძლება არსებობდეს ცდუნება თავი შევაფაროთ ისეთ ნოსტალგიას, რომელიც ჩაკეტილია ყოველივე დადებითისთვის თანამედროვე მსოფლიოში. მეორე მხრივ, დღეს არსებობს იმის მძლავრი ტენდენცია, რომ კრიტიკის გარეშე მივიღოთ თანამედროვეობისათვის გარკვეულად დამახასიათებელი სინკრეტული და ეგზისტენციალური უმიზნობა.

თანამედროვეობის ამ გამოწვევათა პასუხად, საქართველოს სულიერი მემკვიდრეობა ფასდაუდებელ რესურსს წარმოადგენს, რამდენადაც იგი იცავს ადამიანისა და მისი დანიშნულების ერთიან და ყოვლისმომცველი ცნების უდიდეს საგანძურს. ეს მემკვიდრეობა და მისგან მომდინარე ტრადიციები ყოველი ქართველის ძვირფასი და თანდაყოლილი უფლებაა, რაზეც ქვანიც კი ღაღადებენ, - გავიხსენოთ თუნდაც განუმეორებელი ჯვრის მონასტერი, თქვენი მიწის სულიერი შუქურა.

5. დღეს აუცილებელია აღვიდგინოთ ადამიანისა და მთელი კაცობრიობის ისტორიის ორგანული ერთიანობის ხედვა. ქრისტიანები დარწმუნებულნი არიან, რომ ამ ერთიანობას საფუძვლად უდევს ქრისტეს, განკაცებული სიტყვის მისტერია, რომელიც ადამიანს საკუთარ თავს წარმოუჩენს და მის უზენაეს მოწოდებას გაუცხადებს. ნუ გეშინიათ ქრისტესი! მისი რწმენა გადაგვიშლის სულიერ სამყაროს, რომელიც შთააგონებდა და დღესაც შთააგონებს კაცობრიობის ინტელექტუალურ და შემოქმედებით ენერგიას. ქრისტე სწორედ იმით გვათავისუფლებს ჭეშმარიტი შემოქმედებისთვის, რომ გვანიჭებს უნარს ვეზიაროთ

სიყვარულის მისტერიას, ღვთისა და მოყვასის სიყვარულს, რითაც შესაძლებლობას გვაძლევს დავაფასოთ განსხვავებულობა და, იმავდროულად, ავმალდეთ მასზე.

დაე, ხელოვნების, მეცნიერების, პოლიტიკისა და კულტურის მოღვაწეები თავიანთი შემოქმედებითი ნიჭით ემსახურონ ცხოვრებისეული ჭეშმარიტების, სილამაზისა და კეთილშობილების სრულად წარმოჩენას. ეს შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის ინტეგრალური ხედვისკენ სწრაფვით. იქ, სადაც ასეთი ხედვა მოიკოჭლებს ადამიანის ღირსება კნინდება, ხოლო კაცობრიობის კეთილდღეობისა და წინსვლისთვის გამიზნული შემოქმედებითი ნაყოფი, ადრე თუ გვიან, ადამიანისა და სიცოცხლის საწინააღმდეგოდ შემოტრიალდება. ამის ნათელი დასტურია ჩვენი უკვე მიწურული საუკუნის მტკივნეული გამოცდილებაც - ომები, ძალადობა, წამება და სხვადასხვა სახის იდეოლოგიური ჩაგვრა. ამავე დროს, იგი მოწმობს ადამიანის უშრეტ სულიერ ძალას, რომელიც იმარჯვებს ყველაფერზე, რაც მიზნად ისახავს ჭეშმარიტებისა და თავისუფლების ძიებისკენ დაუოკებელი სწრაფვის ჩახშობას.

ძვირფასო მეგობრებო, გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს თქვენს საქმიანობაში და ვლოცულობ, რათა ქრისტეს იუბილე, რომლის საზეიმოდაც ვემზადებით, ყველა კეთილი ნების ადამიანისთვის იქცეს მოწოდებად ერთად იღვაწონ იმედიანი მომავლისა და სიყვარულის ცივილიზაციის შესაქმნელად.

დაე, გადმოვიდეს თქვენზე სულიწმიდის - უფლისა და ცხოვრების მომნიჭებლის მადლი, მისი ნათელი და სიხარული.